Federal Ministry
for the Environment, Nature Conservation,
Nuclear Safety and Consumer Protection

IKI
INTERNATIONAL CLIMATE INITIATIVE

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

# მცირე გრანტების პროგრამა სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატისთვის

# მეთოდური მითითებები

# მეთოდური მითითებები

## საკონკურსო საპროექტო განაცხადების წარსადგენად

პროექტის „პოლიტიკის დიალოგი და ცოდნის მართვა
კლიმატის ცვლილების სტრატეგიების შესახებ” -
DIAPOL-CE ფარგლებში

ბიოსფერული როგორც საქართველოში
მდგრადი განვითარების სამოდელო რეგიონები -
„სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატის“
კოორდინირებული და ეფექტური მართვის შესაძლებლობების გაძლიერება

დაფინანსებულია კლიმატის საერთაშორისო ინიციატივის მიერ (IKI), უფლებამოსილება მინიჭებული აქვს  გერმანიის გარემოს, ბუნების კონსერვაციის, ბირთვული უსაფრთხოებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერალური სამინისტროს მიერ (BMUV), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მეშვეობით

ოქტომბერი, 2023 წ.

# შესავალი

## პროექტის შესახებ

პროექტი DIAPOL-CE დაფინანსებულია კლიმატის საერთაშორისო ინიციატივის (IKI) მიერ, უფლებამოსილება მინიჭებული აქვს  გერმანიის გარემოს, ბუნების კონსერვაციის, ბირთვული უსაფრთხოებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ფედერალური სამინისტროს მიერ (BMUV). პროექტი ხორციელდება აფრიკის, დასავლეთ აზიის, შუა აზიის, სამხრეთ კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში.

საქართველოში პროექტი მხარს უჭერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ადგილობრივ დონეზე სხვა მონაწილეებთან ერთად იუნესკოს (UNESCO) მიერ აღიარებული სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატის მართვაში. ასევე მომავალში ტრანსასაზღვრო აქტივობების განხორციელებაში, რომელიც გამოცდილების გაზიარებას მოემსახურება.

პროექტი ასევე ხელს შეუწყობს ადგილობრივი ინიციატივების განხორციელებას მცირე გრანტების პროგრამის (მგპ) მეშვეობით, რომელიც ახმეტისა და თელავის მუნიციპალიტეტების იმ სოფლებს მოიცავს, რომელიც სამი ალაზანის ბიოსფე-რული რეზერვატის საზღვრებში მდებარეობს.

**წინამდებარე მეთოდური მითითების მიზანია დაეხმაროს კონკურსში მონაწილე მიზნობრივ ჯგუფებს კონკურსზე განაცხადების წარდგენაში - გააცნოს მათ მგპ-ით გათვალისწინებული პროექტების მომზადების,  შერჩევისა და დაფინანსების პროცედურები**.

მგპ მიმართულია გარემოსდაცვით /სოციალურ / ეკონომიკურ /კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პრობლემებზე და ბიოსფერულ რეზერვატში მდგრადი განვითარების ხელშეწყობაზე.

მგპ დააფინანსებს ისეთ სამოდელო პროექტებს,რომელიც ხელს შეუწყობს ბიოსფერული რეზერვატის მიზნების მიღწევას - შეამცირებს ზეწოლას ბიომრავლფეროვნებასა და ბუნებრივ რესურსებზე, შექმნის და გააუმჯობესებს საზოგადო სიკეთეს, მოემსახურება სათემო ინტერესებს და შექმნის ბიოსფერული რეზერვატის დაარსების შედეგად ეკონომიკური სარგებლისა და შემოსავლების მიღების შესაძლებლობის მაგალითებს.

## ბიოსფერული რეზერვატები

ბიოსფერული რეზერვატები, ასევე ცნობილი როგორც ბიოსფერული რეგიონები, იუნესკოს მიერ საერთაშორისო დონეზე აღიარებული სანიმუშო ტერიტორიებია.

**ბიოსფერულ რეზერვატებს სამი ძირითადი ფუნქცია აქვთ:**

1. ბუნებრივი და კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნება
2. ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მხარდაჭერა
3. განათლების, კვლევის და ცოდნის გაზიარების ხელშეწყობა

ბიოსფერული რეზერვატები წარმოადგენს ერთგვარ ცოცხალ ლაბორატორიებს, სადაც საშუალება გვაქვს გამოვცადოთ და ვაჩვენოთ ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების სხვადასხვა პრაქტიკა და ხელი შევუწყოთ მიღებული გამოცდილებისა და ცოდნის გაზიარებას. მდგრადი გამოყენება კი გულისხმობს იმას, რომ დღევანდელმა საქმიანობამ არ დააზიანოს და არ შეამციროს ბუნებრივი რესურსები და ბიომრავალ-ფეროვნება მომავალი თაობებისთვის.

**ბიოსფერულ რეზერვატს სამი ძირითადი ზონა აქვს:**

**1. ძირითადი ზონა** (ემთხვევა, როგორც წესი, არსებულ დაცულ ტერიტორიებს) - გამოიყენება ბიომრავალფეროვნების გრძელვადიანი კოსერვაციისთვის, კვლევებისთვის, საგანმანათლებლო აქტივობებისთვის და სხვა, ნაკლები ზემოქმედების მქონე ღონისძიებებისთვის;

**2. ბუფერული ზონა** (ჩვეულებრივ გარს აკრავს ძირითად ტერიტორიას) - გამოიყენება რეკრეაციული, ეკო-ტურიზმისა და კვლევითი ღონისძიებებისთვის;

**3. განვითარების ზონა** - მიზნად ისახავს ადგილობრივ, სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას გარემოს მდგრად განვითარებასთან თანხვედრაში.

## სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი

2022 წელს, იუნესკომ აღიარა სამი ალაზნისა და დედოფლისწყაროს ბიოსფერული რეზერვატები საქართველოში.ეს არის პირველი ბიოსფერული რეზერვატები მთელს სამხრეთ კავკასიის რეგიონში. სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატი მოიცავს ახმეტის მუნიციპალიტეტის ძირითად ტერიტორიას და ასევე თელავის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელს (სოფლების სრული ჩამონათვალი იხილეთ შესაბამისობის კრიტერიუმებში).



იუნესკოს ბიოსფერული რეზერვატის საერთაშორისო სტატუსის მინიჭების შედეგად ჩნდება რეგიონის განვითარების ახალი შესაძლებლობები და იგი ხდება უფრო მიმზიდ-ველი და ცნობადი ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე, რაც დადებითად აისახება მაგალითად ეკო-ტურიზმის განვითარებაზე, ბიოსფერული რეზერვატის ტერიტორიაზე წარმოებული პროდუქციის გასაღებაზე თუ ახალი ინიციატივებისა და პროექტების დაფინანსებაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან. აღნიშნული მცირე გრანტების პროგრამაც ამ ტერიტორიაზე სწორედ სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატის სტატუსის მიღების შედეგია.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს სამი ალაზნის ბიოსფერული რეზერვატის მართვის ორგანოს ჩამოყალიბება. მართვის პროცესში ყველა დაინტერესებულ მხარის ჩართულობა და მათ შორის კოორდინაცია არის ბიოსფერული რეზერვატის წარმატებული ფუნქციონირებისა და განვითარების წინაპირობა.

## მცირე გრანტების პროგრამის (მგპ) მიზნები

- ადგილობრივ მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება  ბიოსფერული რეზერვატის დაარსებით გამოწვეული სარგებლის მიღების შესაძლებლობებზე
- მოსახლეობის გაუმჯობესებული თანამონაწილოება ბიოსფერული რეზერვატის კოორდინირებული მართვის პროცესში
- ადგილობრივ მოსახელობას, არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დაცული ტერიტორიების სხვადასხვა ადმინისტრაციებსა და მუნიციპალიტეტის მმართველ ორგანოებს შორის პარტნიორობის ჩამოყალიბება და არსებულის გაუმჯობესება
- ცოდნის გავრცელება ინოვაციური უნარებისა და ტექნოლოგიების შესახებ, ასევე რესურსების მართვის ტრადიციული მეთოდების შესახებ, რაც გააუმჯობესებს ბიოსფერულ რეზერვატში მოსახლეობისთვის ცხოვრების სტანდარტებს
- ბიომრავალფეროვნებისადმი მეგობრული, შემოსავლების მომტანი საქმიანობებისგან სარგებლის სამართლიანი განაწილება ბიოსფერულ რეზერვატში
- ბიოსფერულ რეზერვატში შემავალი ეკოსისტემებზე, ტრადიციულ კულტურულ და ბუნებრივ ლანდშაფტებზე გაზრდილი პასუხისმგებლობა და საკუთრების შეგრძნება, ასევე ტრადიციული ცოდნის ხელშეწყობა
- წარმატებული პროექტების და ინიციატივების დემონსტრირება და  გამეორება

## საორგანიზაციო საკითხები

საპროექტო წინადადებების კონკურსი გამოცხადდება 2023 წლის 30 ოქტომბრიდან სხვადასხვა საინფორმაციო არხების საშუალებით:

### კონკურსი გაიმართება 3 ეტაპად:

**ეტაპი 1**

**განაცხადების/საპროექტო წინადადებების წარდგენა და პირველადი გადარჩევა**

დაინტერესებულმა პირებმა **2023 წლის 10 დეკემბრამდე** უნდა წაარმოადგინონ საპროექტო წინადადებები მითითებულ ელ-ფოსტაზე: **ThreeAlazaniBR@giz.de** ქართულ ენაზე, თანდართული ფორმატით. (ასევე განთავსებულია ჩამოსტვირთი ფორმა). მოცულობა - 3-4 გვერდი დანართების გარეშე. გამოცხადებული ვადის გასვლის შემდეგ განაცხადები აღარ მიიღება. განცხადების პირველადი გადარჩევა განხორციელდება შესაბამისობის კრიტერიუმების მიხედვით (გვ. 9 – 11). მე-2 ეტაპზე გადასვლა ავტორებს ეცნობებათ **2023 წლის 25 დეკემბრამდე.**

**ეტაპი 2**

**განაცხადების/საპროექტო წინადადებების შეფასება კომისიის მიერ და შერჩევა**

სხვადასხვა მონაწილე მხარისა და ექსპერტებისაგან შემდგარი შემრჩევი კომისია/ჟიური შეაფასებს საპროექტო განაცხადებს შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, განიხილავს და შეარჩევს მაღალქულიან განაცხადებს. მე-2 ეტაპზე შერჩეული წინადადებების ავტორებს ეცნობებათ **2024 წლის 10 თებერვლამდე.**

**ეტაპი 3**

**შერჩეული საპროექტო წინადადებების წარდგენა და საბოლოო შერჩევა**

მე-2 ეტაპზე შერჩეულ საპროექტო წინადადებების ავტორებს მოვიწვევთ წარდგენის დღეზე (დაკავშირება მოხდება მინიმუმ 10 დღით ადრე). წარდგენის დღე გამოცხადდება **2024 წლის 15 თებერვალს** და გაიმართება არა უგვიანეს **2024 წლის 1-ლი მარტისა.** გადაწყვეტილება პროექტების დაფინანსების შესახებ მიიღება არაუგვიანეს **2024 წლის 10 მარტისა**. საგრანტო ხელშეკრულებები მომზადდება და გაფორმდება გამარჯვებულებთან - **2024 წლის 11 მარტიდან-15 აპრილამდე.** ხელშეკრულებების მოზადების პერიოდში გადაიხედება გამარჯვებული საპროექტო წინადადებები და ადაპტირდება GIZ-ის წესების მიხედვით. ხელშეკრულებას ხელი მოეწერება მას შემდეგ, რაც გრანტის მიმღები GIZ-ს წარუდგენს ყველა მოთხოვნილ დოკუმენტს.

**პროექტის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს**

**საგრანტო ხელშეკრულება დასრულდება 2025 წლის 30 აპრილს.**

საგრანტო განაცხადების მომზადების დაწყებამდე კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველები უნდა გაეცნონ წინამდებარე მეთოდურ მითითებებს პროექტების კონკურსზე წარსადგენი განაცხადების შესადგენად.

## კონკურსზე წარსადგენი განაცხადის/ საპროექტო წინადადების ფორმა

რეგისტრაციის ნომერი: (მიენიჭება წარდგენისას)

| | | |
|---|---|---|
| 1. განმცხადებელი ან ორგანიზაციის/ჯგუფის დასახელება: | | |
| 2. პროექტის ხელმძღვანელი/ავტორიზებული პირი, საპასპორტო მონაცემები: | | 3. მისამართი: |
| 4. ტელეფონი: | 5. ელ. ფოსტა: | |
| 6. პროექტის დასახელება:<br>რომელ თემატურ მიმართულებას მიეკუთვნება პროექტი? (სია მითითებულია განცხადებაში/მეთოდურ მითითებებში გვ.10) | | 7. პროექტის მთლიანი ღირებულება, მათ შორის გრანტი (ლარი) |
| 8. პროექტის ხანგრძლივობა:<br>(_____) თვე | 9. დაწყების თარიღი:<br>____/____/_____ | 10. დასრულების თარიღი:<br>____/____/_____ |
| 11. პროექტის განხორციელების ადგილი (მისამართი, სოფელი, ხეობა/თემი) | | |
| 12. პროექტის მიზნები (რა მიზნებს ისახავს მოცემული საქმიანობა, რას უნდა მივაღწიოთ პროექტის განხორციელებით) | | |
| 13. პროექტის სპეციფიკური ამოცანები ( ჩამოთვალეთ რა კონკრეტული პრობლემებია გადასაჭრელი აღნიშნული მიზნ(ებ)ის მისაღწევად:) | | |
| 14. პროექტის ღონისძიებები ( აღწერეთ რა საქმიანობების შესრულებაა საჭირო თითოეული ამოცანის განსახორციელებლად: მაგ: შესასყიდი საქონელი, მასალები, ჩასატარებელი სამუშაოები, გასაწევი მომსახურება და მათი განფასება/ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება) | | |
| 15. მოსახლეობისთვის (სამიზნე თემებისათვის) შესაძლო სარგებელის მოკლე აღწერა (სოციალურ-ეკონომიკური და გარემოსდაცვითი, ბუნებრივ რესურსებთან, ბიომრავალფეროვნებასთან კულტურულ მემკვიდრეობასთან, მეცნიერებასთან, ბიოსფერული რეზერვატის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული და სხვ.) | | |
| 16. პროექტში მონაწილენი და ბენეფიციარები (მოსარგებლენი) | | |
| 17. აღწერეთ თქვენი შესაძლებლობები, როგორ შეძლებთ პროექტის განხორციელებას (ძირითადი მონაწილეების CV და ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია (ბოლო 3 წლის განმავლობაში შესრულებული საქმიანობები) | | |
| 18. როგორ/რით შეაფასებდით პროექტის წარმატებულობას? | | |
| 19. რა რისკებს ხედავთ პროეტის განხორციელებისთვის, რამაც შეიძლება ხელი შუშალოს მის წარმატებას? როგორ შეარბილებთ ამ რისკებს? | | |
| 20. განსაზღვრეთ ტექნიკური დახმარების და ტრენინგის საჭიროება (არსებობის შემთხვევაში) | | |
| ხელმოწერა, თარიღი ---------- ------ | | |

**შენიშვნა** : საპროექტო წინანდების ტექსტური ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს **4 გვერდს** დანართების გარეშე), წარმოდგენილი უნდა იყოს **Sylfaen, 11 ზომის შრიფტით**

**დანართი 1 პროექტის ბიუჯეტი**

| ხარჯვის კატეგორიები | ზომის ერთეული | ერთეულის ფასი | რაოდენობა | სულ | სულ | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | გრანტი | თანადაფინანსება |
| **1** | **2** | **3** | **4** | **5** | **6** | **7** |
| I საქონელი | | | | | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| *საქონელი სულ* | | | | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| II სამუშაო | | | | | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| *სამუშაო სულ* | | | | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| III საოპერაციო ხარჯები (მაგ.ტრანსპორტირება..) | | | | | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| *საოპერაციო ხარჯები სულ* | | | | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| IV სხვა (განსაზღვრეთ) ხარჯი | | | | | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| *IV სულ* | | | | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| V სხვა (განსაზღვრეთ) ხარჯი | | | | | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| | | | | 0,00 | | |
| *V სულ* | | | | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| ხარჯების ყველა კატეგორიის ჯამი, გრანტი, თანადაფინანსება | | | | 0,00 | 0,00 | 0,00 |
| გრანტისა და თანადაფინანსების პროცენტული წილი | | | | | | |

**შენიშვნა: შესაძლებელია ხარჯვითი კატეგორიების ცვლილება, დამატება, მოკლება გამომდინარე პროექტის სპეციფიკიდან**

**დანართები:**
დანართი 1: პროექტის ბიუჯეტი - ექსელის (Excel) ფორმატში (იხ. თანდართული სარკომენდაციო ფორმატი)
დანართი 2: პროექტის ხელმძღვანელისა და ძირითადი შემსულებელების შესახებ ინფორმაცია (CV)
დანართი 3: ორგანიზაციის შესახებ ინფორმაცია და სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი
დანართი 4: პროექტის ბენეფიციარების სურვილის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ. კრების ოქმი, ხელმოწერებით და საპასპორტო მონაცემებით)

## კონკურსის პირობები

### საპროექტო წინადადებების წარდგენისთვის შესაბამისობის კრიტერიუმები

#### გეოგრაფიული მდებარეობა

მგპ- ით დაფინანსდება ის პროექტები, რომლებიც გეოგრაფიულად უნდა განხორციელდეს ბიოსფერული რეზერვატის ტერიტორიაზე .

#### ახმეტის მუნიციპალიტეტი

ბარის სოფლები: ალავერდი, მატანი, ზემო ალვანი, ხორბალო, ბაბანეური, ქვემო ალვანი, არგოხი, მაღრაანი, ფიჩხოვანი, ბუხრები.

პანკისის ხეობის ყველა სოფელი: ბაყილოვანი, დედისფერული, კუწახტა, საკობიანო, ხევისჭალა, ქორეთი, ყვარელწყალი, დუისი, წინუბანი, ბირკიანი, ძიბახევი, ჯოყოლო, ომალო, დუმასტური, ზემო ხალაწანი, ქვემო ხალაწანი, შუა ხალაწანი.

თუშეთის 4 ხეობის (თემის) ყველა სოფელი - ჩაღმა, პირიქითი, გომეწარი, წოვათა (ტბათანას ჩათვლით).

ილტოს ხეობის სოფლები (ყველა), როგორც ბიოსფერული რეზერვატის ბუნებრივი რესურსების მომხმარებლები.

#### თელავის მუნიციპალიტეტი

სოფლები: ლალისყური, ლეჩური

## განმცხადებელთა ჯგუფები

საპროექტო წინადადებები შეუძლია წარადგინოს ორ ძირითად ჯგუფსა და შესაბამის ქვეჯგუფს:

> **ფიზიკური პირი:** *ინდივიდი და ასევე თემში საინიციატივო ჯგუფი (საერთო ინტერესის ჯგუფი - (სიჯ)), რომელიც დანიშნავს ერთ ფიზიკურ პირს პასუხისმგებლად საგრანტო ხელშეკრულებაზე ხელმომწერად, ბანკში ანგარიშის მიმღებად და საბანკო გადარიცხვებზე ხელმომწერად.*

სიჯ - საერთო პრობლემის გადაწყვეტის სურვილით გაერთიანებული თემის წევრები/ოჯახები. სიჯ-ის წევრები ყველა საქმიანობაზე, მათ შორის, ფინანსურ ვალდებულებაზე თანაბრად არიან პასუხისმგებლები. მან შეიძლება გააერთიანოს ადამიანები, რომლებიც ერთ მჭიდრო ტერიტორიაზე არიან დასახლებულები, აწარმოებენ ერთობლივ ან ინდივიდუალურ საოჯახო/სამეურნეო საქმიანობას, გააჩნით საერთო მოსაზრებები და ინტერესები, მზად არიან გადაჭრან სოციალური და ეკოლოგიური პრობლემები საერთო ძალისხმევით. გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებამდე, სიჯ უნდა დარეგისტრირდეს როგორც იურიდიული პირი ან როგორც ფიზიკური პირი, როგორც უშუალოდ გრანტის მიმღები.

საპროექტი განაცხადის წარმოდგენისას სიჯ-მა უნდა წარმოადგინოს ჯგუფის წევრების მიერ ჩატარებული კრების ოქმი, სადაც დაფიქსირებული იქნება ჯგუფის ხელმძღვანელი და დანარჩენი წევრების ვინაობა ხელმოწერებით, ხოლო კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების დადებამდე სიჯ-ს მოეთხოვება წარმოადგინოს ნოტარიულად დამტკიცებული ზემოხსენებული საბუთები, სადაც ჯგუფის წევრების ფუნქციები იქნება განსაზღვრული.

> **იურიდიული პირი:** *არასამთავრობო/არაკომერციული ორგანიზაციები (ა/ო), მუნიციპალური ადმინისტრაციები (მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ დადასტურებული იქნა მოსახლეობისთვის/თემისთვის სარგებელი),საწარმოები.*

არასამთავრობო ორგანიზაციას შეუძლია იმუშაოს სათემო ჯგუფის სახელით. იმ შემთხვევაში, როდესაც თემს არ გააჩნია ინსტიტუციური შესაძლებლობები, რომ განახორციელოს პროექტი და არსებობს ა/ო. რომელიც მათთვის მისაღებია, მაშინ მათ შეუძლიათ დადონ ხელშეკრულება ამ ა/ო-თან,რათა მან ითამაშოს განმახორცილებელი ორგანიზაციის როლი და ასევე წარმოადგინოს საპროექტო წინადადება თემის სახელით. საპროექტო წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილების წერილი სათემო ჯგუფისგან ან სიჯ-ისგან. ასევე ა/ო-ს შეუძლია თავად წარმოადგინოს და განახორციელოს პროექტი, თუ პროექტის მოიცავს მგპ-ის გეოგრაფიულ არეალს, შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ადგილობრივ მოსახლეობას მოუტანს სარგებელს.

## მიკროპროექტების ტიპოლოგია

### მგპ-ის პოტენციური თემებია:

**ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა/გამოყენების ხელშეწყობა, მაგ.:**

- ენერგორესურსები
- მერქნული რესურსები
  არამერქნული რესურსები და სხვ.

**ადგილობრივი, ტრადიციული სამეურნეო საქმიანობების ხელშეწყობა, მაგ.:**

- ტრადიციული სოფლის მეურნეობა
- საძოვრის მდგრადი მართვა
- ტრადიციული მეცხოველეობა (მომთაბარობა) - მეცხვარეობა და მესაქონლეობა
- ისტორიულ-კულტურული სამეურნეო ინფრასტრუქტურის რეაბილიტიაცია (მაგ., ტერასები, მცირე სარწყავი სისტემები, კუთხისთვის დამახასიათებელი საცხოვრებელი/საწარმოო ნაგებობები, მიუვალ ადგილებში მისაწვდომი ბილიკები, ხიდები) და სხვ.

**კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების ხელშეწყობა, მაგ.:**

- ინფრასტრუქტურა
- ხელსაქმე
- ფოლკლორი და სხვ.

**ბიოსფერულ რეზერვატთან დაკავშირებული სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა**

**გარემოსადმი მეგობრული შემოსავლების მომტანი საქმიანობები, რომლებიც ბიოსფერული რეზერვატის დაარსებით მოტანილი სარგებლის დემონსტრირება იქნება. მაგ.:**

- აგრო, ეკო-ტურიზმის ხელშეწყობა
- ადგილობრივი წარმოების ხელშეწყობა და სხვ.

## გრანტის მოცულობა

გრანტის მოცულობა შესაძლოა იყოს მაქსიმუმ **10000 ევრომდე ექვივალენტი ლარში.** აღნიშნული თანხა არ უნდა აჭარბებდეს პროექტის საერთო ღირებულების 90%-ს. მინიმუმ 10% უნდა დაფინანსდეს გრანტის მიმღების მიერ ფულადი ან არაფულადი სახით.

**მხოლოდ ერთი, განსაკუთრებული საპროექტო წინადადებისთვის**

**10 000**

დანარჩენი გრანტის თანხები გადანაწილდება გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით თანაბრად: დაფინანსდება თითო მცირე საგრანტო პროექტი წარმოდგენილი ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ხეობიდან/თემიდან საგრანტო თანხით არაუმეტეს **5000 ევრომდე ექვივალენტი ლარში** ოდენობით. აქაც, აღნიშნული თანხა არ უნდა აჭარბებდეს პროექტის საერთო ღირებულების 90%-ს. მინიმუმ 10% უნდა დაფინანსდეს გრანტის მიმღების მიერ ფულადი ან არაფულადი სახით.

**5 000**

**ტერიტორიულ/გეოგრაფიული გადანაწილება** *(ჩამონათვალი მითითებულია გვ.9)*

1.თელავის მუნიციპალიტეტის 2 სოფელი სტორის ხეობაში
2.პანკისის ხეობა
3.თუშეთის ჩაღმის ხეობა
4.თუშეთის პირიქითის ხეობა
5.თუშეთის გომეწრის ხეობა
6.თუშეთის წოვათას ხეობა (ტბათანას ჩათვლით)
7.ახმეტის მუნიციპალიტეტის ზემოთ ჩამოთვლილი ბარის სოფლები
8.ილტოს ხეობა

გრანტის მიმღების თანამონაწილეობა პროექტის დაფინანსებაში არაფულადი სახით გამოიხატება პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციისა და მონაწილე პირების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსების გამოყენებით პროექტის მიზნებისთვის. ამგვარ რესურსებს შესაძლოა წარმოადგენდეს საოფისე სივრცე და აღჭურვილობა, ლაბორატორიული დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, სასოფლო-სამურნეო ტექნიკა, შრომის იარაღები და სხვ., ასეთი თანამონაწილეობის ფულადი განფასება და პროექტის ბიუჯეტში ასახვა უნდა მოხდეს ხსენებული მატერიალური რესურსების ადრე შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენითა (თუ შესაძლებელია) და მათი ღირებულებიდან იმ წილის გამოთვლით, რომელიც მოდის პროექტის განხორციელების პერიოდზე.

თანამონაწილეობად შეიძლება ჩაითვალოს ნებაყოფილობითი ფიზიკური შრომაც, რომელსაც  ფულადი ანაზღაურების გარეშე შეასრულებენ პროექტში მონაწილე პირები. ამგვარი თანამონაწილეობის ფულადი განფასება უნდა მოხდეს მსგავსი კვალიფიკაციისა და იურიდიული სტატუსის ანალოგიურ დაწესებულებლის თანამშრომლის მიერ  ამავე სამუშაოს შესრულების რეალური  საბაზრო ფასის მიხედვით.

## მიკროპროექტების განხორციელება

### ფინანსური საკითხები

#### გრანტის თანხების მიღება

გრანტს პროექტის ავტორები მიიღებენ წინასწარ დაგეგმილ ტრანშებად ავანსის სახით კვარტალური დაფინანსების საჭიროების შესაბამისად. თითოეული ტრანშის ოდენობა და მიღების დრო განსაზღვრული იქნება ხელშეკრულების დამუშავების პერიოდში. ტრანშები დაიგეგმება პრაქტიკულად განსახორციელებელი საქმიანობის მიხედვით. პირველი ტრანში ავანსის სახით გაიცემა გრანტის მიღების თაობაზე ხელშეკრულების გაფორმებისთანავე თანხის წერილობით მოთხოვნის საფუძველზე; შემდეგი ტრანში გაიცემა ავანსის 80%-ის გამოყენების შემდეგ წარმოდგენილი ანგარიშის და თანხის წერილობით მოთხოვნის საფუძველზე. გრანტის სახსრები განთავისუფლებულია დღგ-ის გადასახადისგან პროექტის განხორციელების პერიოდში, შესაბამისი რეგისტრაციის საფუძველზე. გრანტის მიმღების ფულადი თანამონაწილეობა ჯეროვნად უნდა აისახოს ყოველი ტრანშის ამოწურვის შემდეგ გაკეთებულ შუალედურ ანგარიშში. ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია გრანტის მიმღებმა უნდა შეინახოს პროექტის სხვა საბუთებთან ერთად.

### შესყიდვების პროცედურები

#### საქონლის ან მომსახურების შესყიდვა

საქონლის ან მომსახურების შესყიდვისას, რომლებიც გრანტიდან უნდა დაფინანსდეს, მიმღებმა უნდა გაითვალისწინოს საქართველოში მოქმედი კანონები და GIZ -ის (საქონლისა და მომსახურების შესყიდვა) მოცემული წესები. ყველა დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამის სააღრიცხვო დოკუმენტებთან ერთად. ყველა შესყიდვა დეტალურად უნდა შეთანხმდეს GIZ-ის შესაბამის თანამშრომელთან.

ქვეყანაში მოქმედი წესების დაცვა არის აუცილებელი; ქვემოთ მოყვანილი პროცედურები  მინიმალურ სტანდარტს წარმოადგენს.

## შესყიდვების პროცედურები

| შესყიდვის ღირებულება | პროცედურა | შესყიდვის დოკუმენტაცია |
|---|---|---|
| 1,000 ევრომდე | არაოფიციალური; დასაშვებია პირდაპირი შესყიდვა | |
| 1,000 ევროდან ზემოთ | • მოითხოვება მინიმუმ სამი წერილობითი სატენდერო წინადადება<br>• ოფიციალური ტენდერის ჩატარება საკუთარი კრიტერიუმების შესაბამისად | შესყიდვის დასაბუთება:<br>• წერილობითი დოკუმენტაცია ტენდერის ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების შესახებ<br>• თუ ტარდება ოფიციალური ტენდერი, უნდა მოხდეს ამის დოკუმენტურად გაფორმება |

ტენდერის გარეშე პირდაპირი შესყიდვის განხორციელება 1000 ევროს ან მეტი ღირებულების მომსახურებაზე კონკრეტულ მიმწოდებელთან დასაშვებია მხოლოდ გამონაკლისი შემთხვევების დროს, მაგალითად,თუ მომსახურების განხორციელება ან საქონლის მიწოდება მხოლოდ ერთ კონკრეტულ კომპანიას შეუძლია (საქონლის/მომსახურების უნიკალური მახასიათებლების გამო) ან თუ არ არსებობს სამი ადგილობრივი პრეტენდენტი. შესყიდვის დასაბუთებისთვის აუცილებელია ამის დოკუმენტურად გაფორმება.

## შრომითი ხელშეკრულება

ხელფასების დაფინანსების შემთხვევაში ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მიმღების მიერ უნდა მოხდეს შესაბამის დაქირავებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმება.

## ანგარიშგება

გრანტის მიმღებმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი ანგარიში დაფინანსებული ქმედების განხორციელების პროცესის და მიღწეული შედეგის შესახებ. ხარჯვითი ნაწილის დასაბუთებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს GIZ-ის მიერ მიწოდებულ ფორმაში შევსებული და ხელმოწერილი ხარჯთაღრიცხვა; ნათლად ასახული ინფორმაცია გრანტის დახარჯვის შესახებ.

საბუთის სახით მან GIZ-ს უნდა წარმოუდგინოს დამოწმებული, მის მიერ შემოწმებული და ხელმოწერით დადასტურებული ანგარიშ-ფაქტურები, შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები, ქვითრები და სხვა.

## მონიტორინგი

GIZ განახორციელებს გრანტით გათვალისწინებული საქმიანობების მონიტორინგს, გრანტის თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების შემოწმებას.

## ხელშეკრულების დასრულება

ყველა აქტივობის დასრულების შემდეგ ნებისმიერი დარჩენილი თანხა უნდა დაუბრუნდეს GIZ-ს.

**განაცხადის შემოტანასთან დაკავშირებული საკონსულტაციო შეხვედრების განრიგის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება მოგვიანებით.**

**წარმოდგენის ვადის ამოწურვამდე, შეკითხვების/დამატებითი ინფორმაციის საჭიროების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:**

**ელფოსტა: ThreeAlazaniBR@giz.de**

**ტელ: 577 755 339**

Federal Ministry
for the Environment, Nature Conservation,
Nuclear Safety and Consumer Protection

IKI INTERNATIONAL CLIMATE INITIATIVE

giz Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საპროექტო წინადადებების მიღება
1 ნოემბრიდან - 10 დეკემბრამდე
ელ.ფოსტაზე : ThreeAlazaniBR@giz.de

ინფორმაციისთვის ეწვიეთ
https://mepa.gov.ge/Ge/publicInformation/34082
ან დაასკანერეთ QR კოდი

განაცხადის ფორმა